საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/188

ქ. ბათუმი 26 ოქტომბერი 2021 წელი

,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N01-08/169 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №30 დადგენილების, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, "ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის №01-08/169 ბრძანებაში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 24 ივლისის №01-02/89 ბრძანებისა და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცემტრის ხარისხის მართვის მენეჯერის მამუკა გოგელიას 2021 წლის 25 ოქტომბრის N1138707 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N01-08/169 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2^1 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2^1. პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა გააჩნდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის პროფესიული სტუდენტისათვის სწავლის შედეგების გამომუშავების და სწავლის შედეგების შეფასების კომპეტენცია,

რაც შესაძლებელია დადასტურდეს: მასწავლებლის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებით (პროფესიული ან/და უმაღლესი განათლების დიპლომი/სერტიფიკატი - შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის სწავლების მიზნებისათვის) ან/და სამუშაო გამოცდილებით (პრაქტიკული უნარები) ან/და მოდულის ადაპტაციის, სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიის მიმართულებით ბსუ-ს მიერ ჩატარებულ ტრენინგში ან/და გარე პროვაიდერების მიერ ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილეობის შედეგებით (ტრენინგებში მონაწილეობის მატერიალურ მტკიცებულებებად განიხილება: სერტიფიკატები, დასწრების ფურცლები). მასწავლებლის კომპეტენციის ირიბ დადასტურებად შესაძლებელია მიჩნეული იქნეს: სტუდენტების კითხვარების ან/და შიდა მონიტორინგის ან/და ვერიფიკაციის შედეგების ანალიზი.";

2. წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით იურიდიულმა დეპარტამენტმა მოამზადოს ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის" კოდიფიცირებული აქტი და უზრუნველყოს ვებგვერდზე განთავსებისათვის წარმოდგენა.

3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**